# მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის ელექტრონული რეგისტრაციის (rustaveli.org.ge/projects_stcu) გზამკვლევი

წარმოგიდგენთ მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის ელექტრონული რეგისტრაციის (rustaveli.org.ge/projects_stcu) გზამკვლევს.

სანამ შეუდგებოდეთ ელექტრონულ რეგისტრაციას, გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას კონკურსის შესახებ.




კონკურსის პირობების გაცნობის შემდგომ ჩამოტვირთეთ საჭირო დოკუმენტები, შეავსეთ ინსტრუქციის შესაბამისად და მოამზადეთ ელექტრონულ ბაზაში ასატვირთად.



საჭიროა მოამზადოთ დოკუმენტთა სამი პაკეტი.

**პირველი პაკეტი** - ეს არის ინგლისურ ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტები.

ჩამოტვირთეთ და შეავსეთ, დანართები, რომლებიც მოცემულია ჩამონათვალში, ყველა დანართი გადაიყვანეთ pdf ფორმატში, გარდა მე-5 დანართისა. ეს დანართი არის პროექტის საერთო ბიუჯეტი, რომელიც უნდა მოამზადოთ და ატვირთოთ excell-ის ფორმატში.

**მეორე პაკეტი** - ეს არის ქართულ ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტები

ჩამოტვირთეთ და შეავსეთ  დანართები, რომლების მოცემულია ჩამონათვალში, ყველა მათგანი გადაიყვანეთ pdf ფორმატში და **გააერთიანეთ ერთ ფაილად**, შესაბამისად, ქართული დოკუმენტთა პაკეტისთვის გექნებათ მხოლოდ ერთი პედეეფ ფაილი.

**და ბოლოს, მესამე პაკეტი** - ეს არის დამატებით ქართულ ენაზე ასევე ერთ pdf ფაილად წარმოსადგენი იურიდიული დოკუმენტები რომლებიც მითითებულია ჩამონათვალში

**ინგლისურენოვანი დოკუმენტები აიტვირთება ცალ-ცალკე, ხოლო ქართულენოვანი დოკუმენტები - ერთ ფაილად გაერთიანებული სახით.**

ბ) **პროექტზე თანდართული დოკუმენტები იკრიბება და აიტვირთება ბაზაში ერთ PdF ფაილის სახით.** აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს შემდეგს: წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და წესდება, ამავე ორგანიზაციების საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა, პროექტის ხელმძღვანელისა და ძირითადი პერსონალის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის მოწმობის, ან პასპორტის ასლები) და მათი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთები (დიპლომის ასლი, ან დოქტორანტი/მაგისტრანტის შემთხვევაში ცნობა შესაბამისი ორგანიზაციიდან).

პროექტის წარმოდგენამდე უნდა გაითვალისწინოთ:

კონკურსში მონაწილეობის ძირითადი აუცილებელი პირობები:

1. პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობის მინიმუმ 30% ე.წ. „მეიარაღე მეცნიერების“ ჩართულობა. აუცილებელია „მეიარაღე მეცნიერ(ებ)ის“ მითითება ძირითად პერსონალში.
2. სულ ცოტა 1 უცხოელი კოლაბორატორის ჩართულობა (ანაზღაურების გარეშე).
3. პროექტის ბიუჯეტის - ფონდიდან და მტცუ-დან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 70000 აშშ დოლარს.
4. ძირითადი პერსონალის ფონდიდან მოთხოვნილი ყოველთვიური საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური დარიცხული ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 1250 ლარს პროექტის ფონდში წარმოდგენის დღის ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით.
5. ფონდიდან და მტცუ-დან მოთხოვნილი მთლიანი თანხის მინიმუმ 50% უნდა გაიცეს ძირითადი და დამხმარე პერსონალის საგრატო დაფინანსებაზე/შრომის ანაზღაურებაზე. პროექტის მონაწილეთა საგრატო დაფინანსებაზე/შრომის ანაზღაურებაზე გათვალისწინებული მაქსიმალური ლიმიტი არ არის დაწესებული.
6. თანხის ნახევარი (არაუმეტეს 35000$ აშშ), რომელსაც გასცემს მტცუ უნდა მოხმარდეს პროექტის მონაწილეთა საგრანტო დაფინანსებას და „ტექნოლოგიის გადაცემის“ ტრენინგს - „მიზნობრივი კვლევების“ პროგრამის  ნაწილს. კონკურსის პირველ ეტაპზე, „მოკლე ფორმის“ წარმოდგენისას, მტცუ-ს მხრიდან მოთხოვნილი ბიუჯეტის დეტალური გაწერა არ მოითხოვება (დანართ 2-სა და დანართ 10-ში მიეთითება მხოლოდ მტცუ-დან მოთხოვნილი ჯამური თანხა - პროექტის ბიუჯეტის 50 %).

შენიშვნა:

1. „ტექნოლოგიის გადაცემის“ ტრენინგის ღირებულება „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის“ 2014 და 2015 წწ. კონკურსებისში წარმოდგელი პროექტებისთვის შეადგენდა 1000 აშშ დოლარს. შესაბამისად, მტცუ-ს დაფინანსებიდან არაუმეტეს 34000 აშშ დოლარი უნდა გაითვალისწინოთ ძირითადი და დამხმარე პერსონალის

საგრანტო დაფინანსებასა და ხელფასზე და ზემოხსენებული მე-5 სავალდებულო პუნქტის დასაკმაყოფილებლად, მინიმუმ 1000 აშშ დოლარი უნდა გაწეროთ წარმოსადგენ პროექტის ბიუჯეტის ფორმაში (ფონდის გენერალური დირექტორის N124 ბრძანების დანართი 5).

2. დართი 5-ის შევსებისას, აუცილებელია ყველა ძირითადი და დამხმარე პერსონალის მითითება. თუ, ფონდი-დან მოთხოვნილ დაფინანსებაში მათთვის/რომელიმე მათგანისთვის არ ითხოვთ საგრანტო დაფინანსებას (შრომის ანაზღაურებას), შესაბამის ველში მიუთითებთ 0-ს.
3. მტცუ-ს წესების მიხედვით არ შეიძლება უცხოელი კოლაბორატორ(ებ)ის ხელფასის/ჰონორარის მოთხოვნა.
4. კონკურსის მონაწილეებმა, ასევე, უნდა გაითვალისწინონ მტცუ-ს მიერ დაწესებული შეზღუდვები „რეგულარული პროექტებისთვის“, რომლებიც ამ კონკურსში წარმოდგენილი პროექტების მე-2 ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში, პროექტის სრული ფორმის წარმოდგენისას, მათზეც გაგავრცელდება (იხ. SOP-XXIV: PROJECT PARTICIPANT PARTICIPATION IN STCU PROJECTS. http://www.stcu.int/documents/projects/sop/sop24.php).

მას შემდეგ რაც დოკუმენტებს მოამზადებთ და საჭირო ფორმატში გადაიყვანთ, დაიწყეთ ელექტრონული რეგისტრაცია ელექტრონულ მისამართზე rustaveli.org.ge/projects_stcu. ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირდება პროექტის ხელმძღვანელი (manager). რეგისტრაციის პროცესი ერთჯერადია. რეგისტრაციის შემდგომ ბაზაში ფიქსირდება პროექტის ხელმძღვანელის პირადი მონაცემები და სისტემაში შესასვლელი პაროლი. ამ მონაცემების გამოყენებით შემდგომში შესაძლებლობა გექნებათ შემდგომში შეხვიდეთ სისტემაში მხოლოდ ავტორიზაციის გავლით.




რეგისტრაციის გასავლელად შესაბამის ველებში ჩაწერეთ პროექტის ხელმძღვანელის სახელი ინგლისურად, გვარი ინგლისურად, ელექტრონული ფოსტა, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და პაროლი. გაითვალისწინეთ, რომ პაროლი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 7 სიმბოლოსგან.




რეგისტრაციის გავლის შემდეგ მოხვდებით სისტემაში საკუთარ სამუშაო მაგიდასთან.




აქტიური კონკურსების ჩამონათვალში მითითებულია "**მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსი**".

მიმდინარე კონკურსის ფარგლებში მომხმარებელს, ანუ პროექტის ხელმძღვანელს საშუალება ექნება ბაზაში ატვირთოს მხოლოდ ერთი პროექტი. ატვირთვის შემდეგ საშუალება გექნებათ დაბრუნდეთ პროექტის რედაქტირებაში და შეიტანოთ ცვლილებები სათანადო ველებში კონკურსის ელექტრონული რეგისტრაციის დედლაინის დასრულებამდე (7 ივლისი, 22:00 სთ-ის ჩათვლით). დედლაინის დასრულების შემდეგ, რედაქტირების ღილაკი დაიბლოკება და ცვლილების შეტანას ვეღარ შეძლებთ.

დააჭირეთ მწვანე ღილაკს „პროექტის დამატება". გაიხსნება ფორმა „ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ". აუცილებელი ველები აღნიშნულია *-ით. აუცილებელი ველების გამოტოვების შემთხვევაში შემდეგ საფეხურზე ვერ გადახვალთ. ამ ფანჯარაში ველები ივსება მხოლოდ ინგლისურ ენაზე. ქართულ ენაზე ინფორმაციის შეტანას ვერ შეძლებთ, რადგან ქართული კლავიატურა დაბლოკილია.



შეავსეთ სათანადო ველები და „შემდეგი" ღილაკზე დაჭერით გადადით მეორე გვერდზე. თუ რომელიმე აუცილებელი ველის შევსება გამოგრჩებათ, სისტემა არ გადაგიყვანთ მეორე გვერდზე და გამოტოვებულ ველს წითლად შეფერავს. შეავსეთ გამოტოვებული ინფორმაცია და გადადით შემდეგ საფეხურზე.

მეორე გვერდზეც ასევე ინგლისურად ავსებთ ინფორმაციას.




გადადით შემდეგ გვერდზე. სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორიდან აირჩიეთ პროექტის სამეცნიერო მიმართულება და ქვემიმართულება. აღნიშნული ველები სავალდებულოა.

დამატებით შეგიძლიათ აირჩიოთ ორი ქვემიმართულება, რომლებიც არასავალდებულო ველებია. ორზე მეტი დამატებითი ქვემიმართულების არჩევას ვერ შეძლებთ.

საკვანძო სიტყვების ველში შეგიძლიათ ჩაწეროთ არაუმეტეს ხუთი საკვანძო სიტყვისა.



გადადით შემდეგ გვერდზე

შეიტანეთ ინფორმაცია პროექტის ძირითადი პერსონალის შესახებ. გაითვალისწნეთ, რომ მინიმუმ ერთი სტრიქონის შევსება სავალდებულოა - ინფორმაცია პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ.




შემდეგ, გვერდზე შეგაქვთ ინფორმაცია დამხმარე პერსონალის შესახებ.




შემდეგ, გვერდზე შეგაქვთ ინფორმაცია კოლაბორატორ(ებ)ის შესახებ




შემდეგ, გვერდზე შეგაქვთ ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის მონაწილეობის შესახებ ფონდის მიერ დაფინანსებულ ან თანადაფინანსებულ მიმდინარე პროექტებში. თუ ასეთი პროექტები არ არსებობს, აღნიშნულ გვერდზე მონიშნულად დატივებთ “No” ღილაკს, წინააღმდეგ შემთხვევაში ღილაკს გადართავთ „yes”-ზე და შეავსებთ ველებს მინიმუმ ერთი, მაქსიმუმ სამი პროექტისთვის.




შემდეგ, გვერდზე შეგაქვთ ინფორმაცია სამი არასასურველი ექსპერტის შესახებ. ეს ველები არასავალდებულოა.

ამის შემდეგ ფორმის ინგლისურენოვანი ველებიდან გადადიხართ ქართულენოვან ველებზე. გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში ფორმის შესავსებად იმუშავებს მხოლოდ ქართული კლავიატურა, ინგლისური კი დაიბლოკება.

შეავსეთ  პროექტის შესახებ ინფორმაცია ქართულად.




გადადით შემდეგ გვერდზე. შეიტანეთ ინფორმაცია პროექტის ძირითადი პერსონალის შესახებ ქართულ ენაზე, ცხადია, ეს ინფორმაცია იდენტური უნდა იყოს ინგლისურ ენაზე შევსებული ანალოგიური ინფორმაციისა.



გადადით შემდეგ გვერდზე. ატვირთეთ თქვენს მიერ წინასწარ მომზადებულ დოკუმენტები.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ყველა დოკუმენტი, მომზადებული უნდა გქონდეთ  ფორმატში, გარდა პროექტის საერთო ბიუჯეტისა (დანართი 5) რომელიც უნდა ატვირთოთ ექსელის ფორმატში. სიტემა არ მიიღებს სხვა ფორმატის ფაილებს. არ აიტვირთება მხოლოდ **დანართი 2 ინგლისურ ენაზე**, რადგან მასში არსებული ყველა მონაცემი უკვე შეტანილი გაქვთ on-line რეჟიმში ინგლისურად.




დააჭირეთ „submit“ ღილაკს. თქვენი პროექტი აიტვირთება სისტემაში და აღმოჩნდებით თქვენს სამუშაო მაგიდასთან.




მას მერე, რაც ატვირთავთ პროექტს თქვენ მოგენიჭებათ შიფრი, რომელიც გამოჩნდება ცხრილის სვეტში „პროექტი“, ეს შიფრი უნიკალურია თქვენთვის და მიმდინარე კონკურსის ფარგლებში არ შეიცვლება. ამ შიფრზე დაჭერისას შეძლებთ თქვენ მიერ შევსებული ინფორმაციის ნახვას/დათვალიერბას pdf ფორმატში.



ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

| | |
|---|---|
| Project title | test |
| Project Manager Name | test |
| Project Manager Surname | test |
| Project Manager's phone number | test |
| Project Manager's E-mail address | test |
| Leading Institution | test |
| Leading Institution's Phone Number | test |
| Leading Institution's E-mail address | test |
| Leading Institution's WEB page | test |
| Project Total Budget (US $) | 20000 |
| Requested total amount from SRNSF (US $) | 1000 |
| Project duration (months) | 12 |
| Participating Institution #1 (if applicable) | test |
| Phone Number of the Participating Institution #1 | test |
| E-mail address of the Participating Institution #1 | test |
| WEB page of the Participating Institution #1 | test |
| Participating Institution #2 (if applicable) | test |
| Phone Number of the Participating Institution #2 | test |
| E-mail address of the Participating Institution #2 | test |
| WEB page of the Participating Institution #2 | |
| Priority Area in accordance with the TRDI Programme 2016 Competition Announcement | Biotechnologies and Life Sciences |
| Project scientific fields and sub-fields (major) | 2.1.3 Construction engineering, Municipal and structural engineering |
| Project scientific fields and sub-fields (additional) | 1.1.1 Pure mathematics 1.1.3 Statistics and probability - This includes research on statistical methodologies, but excludes research on applied statistics which should be classified under the relevant field of application (e.g. Economics, Sociology, etc.) |
| Keywords (Please indicate up to 5 keywords) | vxdv |

Key personnel of the Project (mandatory field)

| # | Key participant personnel (surname, name) | ID number | Position in the Project | "Weapon Scientist" (Yes/No) | Academic Degree (PhD, Ma / PhD student / MA student) | Young scientist (Yes, No) | Date of birth (year/month/day) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | test test | 00000000000 | Project Manager | NO | PhD | NO | 2016-06-16 |

Support Personnel

| # | Position in the Project | Short Job Description |
|---|---|---|

Project Foreign Collaborator(s)

| # | Name, Surname | Institution (Name, address, telephone number, e-mail | Position | Telephone | E-mail address |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ghj | ghj | ghj | ghj | ghj |

Additional Information about ongoing grants

Names of 3 undesirable experts for peer reviewing your proposal

| # | Expert's name, surname | Institution |
|---|---|---|

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ (ქართულად)

| | |
|---|---|
| პროექტის დასახელება | [illegible] |

კონკურსის დედლაინამდე შეგიძლიათ შეხვიდეთ პროექტის რედაქტირებაში და შეცვალოთ მონაცემები.

პროექტის რედაქტირების დროს შეძლებთ შეცვალოთ ჩანაწერი ნებისმიერ ველში. ასევე შეძლებთ განმეორებით ატვირთოთ ფაილები. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი ფაილის განმეორებით ატვირთვისას ახალი ფაილი ძველს ჩაანაცვლებს. თუ ახალ ფაილს არ ატვირთავთ რომელიმე ველში, იქ შენარჩუნებული იქნება თქვენს მიერ ადრე ატვირთული ფაილი.

იმისთვის, რომ რედაქტირებისას პროექტში შეტანილი ცვლილებები აისახოს ელექტრონულ ბაზაში, აუცილებლად დააჭირეთ „submit" ღილაკს. ცვლილებები აიტვირთება სისტემაში და სამუშაო მაგიდაზე რამდენიმე წამით გამოჩნდება შეტყობინება „პროექტში ცვლილება წარმატებით განხორციელდა"

გირჩევთ, რედაქტირების შემდეგ კიდევ ერთხელ დააჭიროთ პროექტის შიფრს, გადაათვალიეროთ პედეეფ ფაილი და დარწმუნდეთ, რომ თქვენს მიერ შეტანილი ცვლილებები ასახულია პროექტში.

მხოლოდ მას მერე, რაც მონაცემებს დააფიქსირებთ საბოლოო ფორმით და დარწმუნდებით, რომ ცვლილებების შეტანა აღარ გჭირდებათ, დააჭირეთ ცისფერ ღილაკს „ჩამოტვირთვა". **სისტემიდან ჩამოიტვირთება კანცელარიაში წარსადგენი განცხადების ფორმა (დანართი 10). შეავსეთ ცარიელი ველები და წარმოადგინეთ ფონდის კანცელარიაში შესაბამისი ბეჭდ(ებ)ით და ხელმოწერებით დამოწმებული.**

**დანართი N10**

**დამტკიცებულია**
**სსიპ- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო**
**ფონდის გენერალური დირექტორის**
**2016 წლის 15 ივნისის №124 ბრძანებით**

**მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსში პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი**

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის #86 დადგენილებას, აგრეთვე სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის მიერ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე გამოგზავნილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვადასტურებთ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას და პროექტისათვის გამოყენებას.

**პროექტის ხელმძღვანელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ მტცუ-სა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2016 წლის ერთობლივ კონკურსში წარმოდგენილი პროექტი, ან პროექტის ნაწილი არ არის უკვე განხორციელებული პროექტის ხელმძღვანელისა და/ან მისი კვლევითი ჯგუფის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით.**

**პროექტის ხელმძღვანელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.**

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსში.

1. პროექტის შიფრი: STCU-2016-1
2. პროექტის სახელწოდება: ჰგჯგჯ
3. პროექტის საერთო ბიუჯეტი (აშშ დოლარი): 20000
   მათ შორის:
   3.1 ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (აშშ დოლარი): 1000
   3.2 STCU-დან მოთხოვნილი თანხა (აშშ დოლარი): 19000
4. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები): 12
5. პროექტის წარმომდგენი:

| წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება | ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი | წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის/ უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| გჰჯ | გჰჯ | | |

ბეჭედი

| თანამონაწილე ორგანიზაციის სახელწოდება N1 | ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი | თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის/ უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| გჰჯ | გჰჯ | | |

ბეჭედი

| თანამონაწილე ორგანიზაციის სახელწოდება N2 | ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი | თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის/ უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| ფგჯ | ფგჯ | | |

ბეჭედი

| პროექტში მონაწილე ძირითადი პერსონალი (გვარი, სახელი) | როლი პროექტში | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დკფჯსდგჰ | პროექტის ხელმძღვანელი (Manager) | |

**თარიღი: __/__/2016**

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გისურვებთ წარმატებას!!!